ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 95

ქალაქი ქუთაისი 26 აგვისტო 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე ვაჭრობის ადგილების გეგმის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „მ“ ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №136 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 15 აგვისტოს № 44-4426230286 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ინდივიდუალურად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა, №11), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი მარეხი ნიჟარაძე

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მ ბ ა ს. № 93
27.08.2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 26 აგვისტოს
№95 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი
1.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა, №23-ის დასავლეთით	03.03.26.365
2.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გელათის ქუჩა, №2-ის დასავლეთით	03.03.21.081
3.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა, №13-ის მიმდებარედ	03.03.21.308
4.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №3-ის დასავლეთით	03.03.21.148
5.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა, №7-ის სამხრეთით	03.03.21.082
6.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა, №1-3-ის დასავლეთით	03.03.21.540
7.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა, №12-ის სამხრეთით	03.04.24.330
8.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, №8-ის ჩრდილოეთით	03.03.26.300
9.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, №3-ის სამხრეთით	03.03.21.479
10.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილისა და პუშკინის ქუჩების გადაკვეთა	03.03.26.299
11.	სკვერი	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი, №140 ბინის სამხრეთით	03.04.02.421
12.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი, №44-ის სამხრეთით	03.04.24.228
13.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა, №7-ის აღმოსავლეთით	03.03.21.469
14.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა, №8-ის აღმოსავლეთით	03.03.21.199
15.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, №4-ის ჩრდილოეთით	03.03.26.298
16.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებელის მოედანი	03.03.21.097
17.	სკვერი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა, №9 სახლის ჩრდილოეთით	03.03.21.362
18.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ცისფერყანწელების ქუჩა, №7-ის დასავლეთით	03.03.21.467
19.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, №98-ის აღმოსავლეთით	03.03.26.011
20.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა, №29; ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა, №4-ის სამხრეთ-დასავლეთით	03.03.21.353
21.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა, №9-11	03.04.25.510
22.	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა, №35-ის მიმდებარედ	03.04.24.264

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი _____ მარეხი ნიჟარაძე